

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №836 - ვებგვერდი, 30.10.2015წ.

1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელი არ მიეკუთვნება თავდაცვის იარაღის სახეს
  - ა. მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი
  - ბ. გაზის (აირის) იარაღი
  - გ. გაზის აეროზოლური მოწყობილობა
  - დ. თოფი.
2. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მოკლელულიან ცეცხლსასროლ იარაღს
  - ა. რევოლვერი
  - ბ. პისტოლეტი
  - გ. კარაბინი.
3. საქართველოს კანონმდებლობით, რა დანიშნულებით დაიშვება გაზის (აირის) იარაღის გამოყენება
  - ა. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების მიზნით
  - ბ. თავდაცვისთვის
  - გ. ნებისმიერი დანიშნულებით
  - დ. ნადირობისთვის.
4. საჭიროა თუ არა ფიზიკური პირის მიერ შეძენილი თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღის რეგისტრაცია
  - ა. საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი მესაკუთრე მას მართლზომიერად არ ფლობდა
  - ბ. რეგისტრაცია საჭიროა მხოლოდ აღურიცხავი (მანამდე დაურეგისტრირებელი) იარაღის
  - გ. დიახ, ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა.
5. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მფლობელ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს საბრძოლო მასალის შეძენის უფლება აქვს
  - ა. იმ შემთხვევაში, თუ დარეგისტრირებული აქვს რომელიმე ტიპის იარაღი
  - ბ. ნებისმიერ შემთხვევაში, შეზღუდვის გარეშე
  - გ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აქვს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ნებართვა
  - დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს საბრძოლო მასალა განკუთვნილია თავის საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული იარაღიდან გასროლისათვის.
6. დასაშვებია თუ არა თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება თავდაცვის გარდა სხვა დანიშნულებით
  - ა. დასაშვებია

- ბ. არა, არ არის დასაშვები
- გ. დასაშვებია ნადირობისათვის.

7. მოიპოვებს თუ არა საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ ტიპის იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის შექმნის უფლებას, რომელი ტიპის იარაღის შექმნის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზია არ გააჩნია

ა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტები მოერგება მის კუთვნილ იარაღს

ბ. არა

გ. დიახ.

8. შეუძლია თუ არა პირს, რომელიც მსჯავრდებული იყო და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს, მიიღოს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის ნებართვა

ა. შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში

ბ. არ შეუძლია ზოგიერთი დანაშაულისთვის მსჯავრდების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში

გ. პირს, რომელიც მსჯავრდებული იყო არცერთ შემთხვევაში არ შეუძლია.

9. შეიძლება თუ არა დამცავი ან შემაკავებელი ორდერი წარმოადგენდეს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის რეგისტრაციის ამკრძალავ გარემოებას

ა. დიახ

ბ. არა.

10. დასაშვებია თუ არა პირმა დაირეგისტრიროს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი ან გაზის იარაღი, თუ მისი ძირითადი ელემენტი დამზადებულია ლიცენზიის არმქონე პირის მიერ

ა. დასაშვებია

ბ. არ არის დასაშვები, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

გ. არ არის დასაშვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის არმქონე პირის მიერ დამზადებულია იარაღის ლულა.

11. მოიპოვებს თუ არა ფიზიკური პირი შესაბამის ნებართვას კონსტრუქციული ნაკლის/დაზიანების მქონე თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან გაზის (აირის) იარაღის შესაძენად

ა. დიახ, თუკი ასეთი იარაღის გამოყენება საფრთხის შემცველი არ არის

ბ. არა, თუ ასეთი ნაკლის გამო შეუძლებელი იქნება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება ან ექსპლოატაცია

გ. ასეთ შემთხვევაში შეზღუდვა არ არსებობს.

12. ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებია  
ა. ლულა, დოლურა, ჩამკეტი, ჩარჩო, ლულის კოლოფი  
ბ. მხოლოდ ლულა, ჩამკეტი, ჩარჩო, ლულის კოლოფი  
გ. ლულა, ჩამკეტი, ლულის კოლოფი, ფისტონი, ნემსი.

13. ჩამოთვლილთაგან რომელი იარაღი არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან  
ა. ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც აქვს სხვა საგნის იმიტირებული ფორმა  
ბ. კასტეტი და სხვა მსგავსი დასარტყამ-დამაქუცმაცებელი (დამამსხვრეველი) საგნები  
გ. მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სროლის ხმის დასახშობად  
დ. თვითმტენი პისტოლეტი.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი იარაღი არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან  
ა. მხოლოდ გრძელლულიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი  
ბ. მხოლოდ ის იარაღი და სხვა მოწყობილობები, რომელთა მოქმედების ძალა ემყარება ელექტროენერგიას, რადიოაქტიურ გამოსხივებას ან ბიოლოგიურ ფაქტორებს  
გ. მხოლოდ ის საბრძოლო მასალა, რომელსაც აქვს ჯავშანგამტანი, ცეცხლგამჩენი, აფეთქებითი ან ტრასირებული მოქმედების ძალა  
დ. ამ ბილეთში აღნიშნული ყველა იარაღი.

15. ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მართებული  
ა. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია მხოლოდ გაზის (აირის) ის იარაღი, რომელიც აღჭურვილია ნერვულ-პარალიტიკური (დამბლადამცემი), მომწამვლელი ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებით;  
ბ. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული გაზის (აირის) იარაღი;  
გ. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია როგორც მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული გაზის (აირის) იარაღი, ასევე გაზის (აირის) ის იარაღი, რომელიც აღჭურვილია ნერვულ-პარალიტიკური (დამბლადამცემი), მომწამვლელი ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებით.

16. რომელი გარემოებაა თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის შექმნის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის გაუქმების საფუძველი  
ა. მხოლოდ იარაღის მესაკუთრის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებში ნებაყოფლობით ჩაბარება დადგენილი წესით  
ბ. მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა  
გ. მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევა  
დ. ამ ბილეთში ჩამოთვლილი ყველა გარემოება.

17. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი არ არის სწორი

- ა. ფიზიკურ პირს არ აქვს უფლება, ატაროს რეგისტრირებული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა
- ბ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი რეგისტრირდება მხოლოდ შენახვის უფლებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა
- გ. ფიზიკურ პირს უფლება არ აქვს, ატაროს (მასზე) რეგისტრირებული გაზის (აირის) იარაღი.

18. სად უნდა შეინახოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქემ მასზე რეგისტრირებული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი

- ა. მის მიერ არჩეულ ნებისმიერ ადგილას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება იარაღის შენახვის წესების დაცვა
- ბ. სარეგისტრაციო ჩანაწერებსა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში ასახულ საცხოვრებელ ადგილას
- გ. ამ ბილეთში ჩამოთვლილ ორივე ადგილას.

19. რომელი ორგანო გასცემს იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ნებართვას

- ა. სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
- ბ. სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
- გ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- დ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

20. ფიზიკურ პირს სურს მასზე რეგისტრირებული ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის 40 ვაზნის გადატანა. სჭირდება თუ არა მას გადატანა-გადაზიდვის ნებართვა

- ა. დიახ, სჭირდება
- ბ. არა, რადგან ვაზნების გადატანას არ სჭირდება ნებართვა
- გ. არა, რადგან ასეთ ნებართვას არ საჭიროებს რეგისტრირებული იარაღის მესაკუთრე ფიზიკური პირი ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის 50 ვაზნამდე გადატანა-გადაზიდვის დროს.

21. ფიზიკურ პირს სურს მასზე რეგისტრირებული გაზის (აირის) იარაღის 60 ვაზნის გადატანა. სჭირდება თუ არა მას გადატანა-გადაზიდვის ნებართვა

- ა. არ სჭირდება
- ბ. ნებისმიერი რაოდენობის ვაზნების გადატანას სჭირდება ნებართვა
- გ. სჭირდება - ნებართვა არ არის საჭირო მხოლოდ გაზის იარაღის 50 ვაზნამდე გადატანა-გადაზიდვის დროს.

22. რა რაოდენობის დენთის გადატანა არის დასაშვები შესაბამისი ნებართვის გარეშე რეგისტრირებული იარაღის მესაკუთრე ფიზიკური პირის მიერ

- ა. ერთ კილოგრამამდე დენთის
- ბ. ორ კილოგრამამდე დენთის
- გ. სამ კილოგრამამდე დენთის.

23. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი გადატანისას უნდა იყოს  
ა. განმუხტულ (დაშლილ) მდგომარეობაში, საბრძოლო მასალისგან განცალკევებული  
ბ. განმუხტულ (დაშლილ) მდგომარეობაში, საბრძოლო მასალასთან ერთად  
გ. საბრძოლო მასალისგან განცალკევებული, იარაღის განმუხტვა აუცილებელი არ არის.

24. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის ჩამორთმევა ხდება

- ა. მხოლოდ იარაღის ბრუნვის წესების დარღვევის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე
- ბ. მხოლოდ მოძალადისგან მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით
- გ. ორივე აღნიშნულ შემთხვევაში
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

25. საქართველოს მოქალაქეს სურს რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანა. სჭირდება თუ არა მას უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეტანის თაობაზე უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა

ა. დიახ

ბ. არა

გ. სჭირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მუდმივად საცხოვრებლად მიდის საზღვარგარეთ.

26. ფიზიკური პირის მიერ დაურეგისტრირებელი თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის განკარგვა

ა. დაუშვებელია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა

ბ. დასაშვებია

გ. დასაშვებია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული იარაღი პირის მფლობელობაში დანაშაულებრივი გზით გადავიდა.

27. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი

ა. ფიზიკური პირი ვალდებულია იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარადგინოს მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ცნობა

ბ. პირს შეუძლია დაირეგისტრიროს საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული იარაღი იმ შემთხვევაშიც, თუკი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის (ლიცენზიის) მიღების პირობებს

გ. ფიზიკური პირი ვალდებულია შეძენილი იარაღის რეგისტრაციისათვის მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

28. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია

- ა. ნებართვის მაძიებელი არის ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნარკომანი ან ტოქსიკომანი
- ბ. ნებართვის მაძიებელს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები
- გ. ნებართვის მაძიებელი არის 21 წლის.

29. ვალდებულია თუ არა თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრე მიმართოს სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციის მიზნით

- ა. იგი ვალდებულია განცხადებით მიმართოს სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს
- ბ. არ არის ვალდებული, თუკი აქვს რომელიმე ტიპის იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვა
- გ. არა, რადგან მოპოვებული აქვს შესაბამისი თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვა.

30. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი არის

- ა. მხოლოდ პისტოლეტი
- ბ. გადაჭრილი თოფი და პისტოლეტი
- გ. პისტოლეტი ან რევოლვერი (მათ შორის, საფანტის იარაღი).

31. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრე ვალდებულია ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს იარაღის ხელახალი რეგისტრაციის საფუძვლის წარმოშობიდან

- ა. 10 სამუშაო დღის ვადაში
- ბ. 7 სამუშაო დღის ვადაში
- გ. 15 სამუშაო დღის ვადაში.

32. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრეს ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშობა

- ა. თუ მოხდა იარაღის შეკეთება ლიცენზირებული პირის მიერ
- ბ. იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში მითითებული მონაცემის შეცვლის შემთხვევაში
- გ. თუ აღმოჩნდა, რომ იარაღი არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში.

33. ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა

- ა. მხოლოდ იარაღის გადატანის მიზნით შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე
- ბ. მხოლოდ იარაღის გადასატანად ბალისტიკური შემოწმების განმახორციელებელ ორგანოში
- გ. მხოლოდ იარაღის გადასატანად იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან
- დ. ამ ბილეთში ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში.

34. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი

ა. ფიზიკური პირი არ არის უფლებამოსილი, ნებართვის გარეშე შეიძინოს მის სახელზე რეგისტრირებული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა

ბ. აკრძალულია თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, გაზის (აირის) იარაღის ან საბრძოლო მასალის გადაცემა სხვა პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა

გ. გაზის (აირის) იარაღის ტარების უფლების მქონე პირი პირადად არის პასუხისმგებელი მის დაცვასა და მოვლაზე.

35. ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მცდარი

ა. გაზის (აირის) იარაღის ტარების უფლების მქონე პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის ბრუნვის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები

ბ. ფიზიკური პირი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს მემკვიდრეობით მიღებული იარაღი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მიღების შემაფერხებელი გარემოება

გ. იარაღის ტარების უფლების მქონე გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრე იარაღის ტარებისას არ არის ვალდებული პირადობის მოწმობასთან ერთად იქონიოს იარაღის რეგისტრაციის მოწმობა.

36. მოცემული დებულებებიდან რომელია მცდარი

ა. იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია დასაშვებია, თუ მოთხოვნის დროისათვის განმცხადებელს აქვს შესაბამისი ტიპის იარაღის შეძენის ნებართვა

ბ. იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია დასაშვებია, თუ იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტები დამზადებულია შესაბამისი ლიცენზიის მქონე პირის მიერ

გ. იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაცია დასაშვებია, თუ ბალისტიკური შემოწმების შედეგად გამოვლინდა კონსტრუქციული ნაკლი/დაზიანება, რის გამოც შეუძლებელია მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

37. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის ან იარაღის ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს

ა. იარაღის ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევა

ბ. იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენება

გ. კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იარაღზე ან იარაღის ძირითად ელემენტზე მესაკუთრის უფლებამოსილების სხვა პირზე გადაცემა (გადაფორმება)

დ. იარაღის ძირითადი ელემენტების იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტით ჩანაცვლება.

38. ჩამოთვლილთაგან რომელი შემთხვევა არ წარმოადგენს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მამიებლისთვის შემაფერხებელ გარემოებას

ა. ლიცენზიის (ნებართვის) მამიებელი ფსიქიკურად დაავადებულია

ბ. ლიცენზიის (ნებართვის) მამიებელს აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ იარაღის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას

გ. ლიცენზიის (ნებართვის) მამიებელი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე

დ. ლიცენზიის (ნებართვის) მამიებელს ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

39. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის ჩამორთმევის საფუძველი

ა. შესაბამისი ლიცენზიის (ნებართვის) არსებობისას იარაღის საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანა

ბ. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმება

გ. იარაღის ბრუნვის წესების დარღვევა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

40. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული

ა. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღი უნდა ინახებოდეს დამუხტულ მდგომარეობაში, გამორიცხული უნდა იყოს იარაღსა და საბრძოლო მასალასთან არასრულწლოვანთა დაშვების შესაძლებლობა

ბ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღი და შესაბამისი საბრძოლო მასალა უნდა ინახებოდეს ისეთ მდგომარეობაში/პირობებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამორიცხება გაუთვალისწინებელი (უნებლიე) გასროლა და იარაღსა და საბრძოლო მასალასთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა

გ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღი უნდა ინახებოდეს განმუხტულ მდგომარეობაში და ოჯახის წევრთათვის ხელმისაწვდომ ადგილას, სადაც შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღის დროული გამოყენება.

41. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაკარგეთ თქვენს საკუთრებაში არსებული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღი

ა. დაუყოვნებლივ ატყობინებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფს

ბ. შეგიძლიათ არ შეატყობინოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და თვითონ მიიღოთ ზომები იარაღის მოსაძიებლად.

42. მოცემული დებულებებიდან რომელია მართებული

ა. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი გადატანისას უნდა იყოს სპეციალურ ბუდეში ან შალითაში, რათა გამორიცხოს იარაღის დაუყოვნებლივ გამოყენების შესაძლებლობა

ბ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი გადატანისას უნდა იყოს სპეციალურ ბუდეში ან შალითაში, ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იარაღის დაუყოვნებლივ გამოყენების შესაძლებლობა

გ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი გადატანისას შესაძლებელია იყოს სპეციალურ ბუდეში ან შალითაში, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იარაღის დაუყოვნებლივ გამოყენების შესაძლებლობა.

43. ჩამოთვლილთაგან თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის დარეგისტრირება არ არის ნებადართული

ა. მხოლოდ იმ პირისთვის, რომელიც არის ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნარკომანი ან ტოქსიკომანი

ბ. მხოლოდ იმ პირისთვის, რომელსაც არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა

გ. როგორც იმ პირისთვის, რომელიც არის ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნარკომანი ან ტოქსიკომანი, ასევე იმ პირისთვის, რომელსაც არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა.

44. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის მაძიებელი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ნებადართულია თუ არა მის მიერ ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის შეძენის ნებართვის მოპოვება

ა. დიახ, თუკი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი არ იმყოფება სასჯელსრულებით დაწესებულებაში

ბ. დიახ, თუკი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის

გ. არა, პირზე არ გავიგემა იარაღის შეძენის ლიცენზია (ნებართვა), თუკი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

45. დასაშვებია თუ არა თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღის მესაკუთრემ თვითონ (შესაბამისი ლიცენზიის გარეშე) დაამზადოს ან შეაკეთოს ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტები

ა. დიახ

ბ. არა

გ. დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი განათლება.

46. მოცემული დებულებებიდან რომელია მართებული

ა. ფიზიკურ პირთა მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, გადატანა/გადაზიდვა დაიშვება სათანადო ნებართვის საფუძველზე

ბ. ფიზიკურ პირთა მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, გადატანა/გადაზიდვა არ საჭიროებს ნებართვას

გ. ნებართვას საჭიროებს მხოლოდ მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა (შენახვის ან/და ტარების უფლებით).

47. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი

ა. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიაზე ნებაყოფლობით უარის თქმა დაუშვებელია;

ბ. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი ლიცენზიის პირობების ან/და იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში დაკარგავს ნებართვას;

გ. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის მფლობელი დაკარგავს ლიცენზიას იარაღის სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოში ჩამოწერისას.

48. ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მცდარი

ა. თავდაცვის მოკლელულიანი ან გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას იარაღის ბრუნვის წესები

ბ. თავდაცვის მოკლელულიანი ან გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრე ვალდებულია უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა

გ. თავდაცვის მოკლელულიანი ან გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრეს უფლება არ აქვს გაასხვისოს საკუთრებაში არსებული იარაღი.

49. ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მართებული

ა. საქართველოს მოქალაქის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის იარაღის საქართველოში შემოტანა და გატანა ხორციელდება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე

ბ. საქართველოს მოქალაქის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის იარაღის საქართველოდან გატანას არ სჭირდება ნებართვა

გ. საქართველოს მოქალაქის მიერ საქართველოში შემოტანილი თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო

დ. არცერთი ჩამოთვლილი დებულება არ არის მართებული.

50. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვას გასცემს

ა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

გ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დ. სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

51. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ნებართვა გაიცემა

ა. არაუმეტეს 3 თვის ვადით

ბ. არაუმეტეს 6 თვის ვადით

გ. არაუმეტეს 2 თვის ვადით.

52. რომელი ორგანო გასცემს იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა/გადაზიდვის ნებართვას

ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- ბ. სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
- გ. სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

53. ერთდროულად რამდენი თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოში შემოტანასა და გატანაზე შეუძლია საქართველოს მოქალაქეს მიიღოს ნებართვა

- ა. არაუმეტეს 5 ერთეულის
- ბ. არაუმეტეს 7 ერთეულის
- გ. არაუმეტეს 10 ერთეულის.

54. ერთდროულად რამდენი ერთეული საბრძოლო მასალის (ვაზნის) საქართველოში შემოტანასა და გატანაზე შეუძლია საქართველოს მოქალაქეს მიიღოს ნებართვა

- ა. არუმეტეს 1000 ერთეულის
- ბ. არაუმეტეს 1200 ერთეულის
- გ. არაუმეტეს 1300 ერთეულის.

55. იარაღის კოლექციონირება და ექსპონირება დასაშვებია

- ა. შესაბამისი ნებართვის არსებობისას
- ბ. ნებართვის გარეშე.

56. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის მესაკუთრის მიერ სარეგისტრაციო ჩანაწერებსა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში ასახული საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას წარმოიშობა თუ არა ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულება

- ა. არა
- ბ. დიახ
- გ. დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარაღის მესაკუთრე საცხოვრებლად გადადის სხვა ქალაქში.

57. დასაშვებია თუ არა იარაღის მემკვიდრეობით მიღება

- ა. დიახ
- ბ. არა.

58. თავდაცვის მოკლელულიანი და გაზის (აირის) იარაღის გამოყენების შემთხვევაში

- ა. პირი ვალდებულია აცნობოს საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს
- ბ. პირს არ ეკისრება საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება
- გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურისთვის ინფორმაციის წარდგენა ხდება აღნიშნული ორგანოების მოთხოვნის შემთხვევაში.

59. რა ასაკიდან არის ნებადართული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მოპოვება

- ა. 18 წლიდან
- ბ. 20 წლიდან
- გ. 21 წლიდან.

60. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი

- ა. იარაღის დროებითი მოწმობის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები
- ბ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი გადატანისას დაცული უნდა იქნეს გარეშე პირთა ხელმისაწვდომობისგან
- გ. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება გადატანისას არ იყოს დაცული გარეშე პირთა ხელმისაწვდომობისგან, თუკი დაცულია იარაღის გადატანის სხვა წესები.

61. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული

- ა. იარაღის მესაკუთრე არ არის ვალდებული უზრუნველყოს იარაღის შენახვის ადგილებში კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო მოხელეთა დაშვება და მათთვის სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა
- ბ. იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევაში აუცილებელია მიღებულ იქნეს ზომები ირგვლივ მყოფ პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და დაზარალებულისათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად
- გ. ამ ბილეთში ჩამოთვლილი ორივე დებულება მართებულია.

62. აქვს თუ არა უფლება თავდაცვის მოკლელულიანი ან გაზის იარაღის მესაკუთრეს საზღვარგარეთ გამგზავრებისას თავის საკუთრებაში არსებული იარაღი გადასცეს სხვა პირს

- ა. დიახ, მხოლოდ ოჯახის წევრს
- ბ. დიახ, ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს იარაღის ტარების უფლება
- გ. დიახ, ნებისმიერ ნდობით აღჭურვილ პირს
- დ. არა, არ აქვს.

63. რა შემთხვევაშია დასაშვები თქვენს საკუთრებაში არსებული თავდაცვის მოკლელულიანი ან გაზის იარაღი შეინახოთ ისეთ ადგილას, სადაც ის გარეშე პირთათვის ხელმისაწვდომი იქნება

- ა. არცერთ შემთხვევაში
- ბ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამორიცხულია იარაღთან არასრულწლოვანთა დაშვების შესაძლებლობა
- გ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იარაღი ხელმისაწვდომია იმ პირისთვის, ვისაც აქვს იარაღის შენახვის ან/და ტარების უფლება.

64. ჩამოთვლილი ვერსიებიდან რომელი არის ცეცხლსასროლი იარაღი

ა. მხოლოდ პისტოლეტი

ბ. მხოლოდ რევოლვერი

გ. მხოლოდ შაშხანა

დ. ამ ბილეთში ჩამოთვლილი სამივე იარაღი.

65. შეუძლია თუ არა იარაღის მესაკუთრეს თვითონ (შესაბამისი ლიცენზიის გარეშე) გადააკეთოს თავისი კუთვნილი თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღი

ა. დიახ, თუ იგი ამის შესახებ შეატყობინებს შესაბამის ორგანოებს

ბ. არა

გ. დიახ, მას შეუზღუდავად შეუძლია იარაღის გადაკეთება, ვინაიდან არის იარაღის მესაკუთრე.

66. იარაღის ან მისი დამატებითი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს ფიზიკური პირი

ა. 14 დღის ვადაში მიმართოს სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს იარაღზე საკუთრების უფლების სხვა პირზე გადაცემის, იარაღის ჩამოწერის ან იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის მისაღებად

ბ. შეინახოს იარაღი საცხოვრებელ ადგილას და უზრუნველყოს მისი დაცვა

გ. გადასცეს მესამე პირს რეგისტრაციის განხორციელებამდე.

67. დასაშვებია თუ არა ფიზიკურმა პირმა თავის საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული იარაღი ჩააბაროს (საკომისიო წესით) იარაღით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე დაწესებულებას

ა. დიახ

ბ. არა.

68. აქვს თუ არა პირს თავის საკუთრებაში არსებული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღის გასხვისების უფლება

ა. დიახ

ბ. არა.

69. დასაშვებია თუ არა ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის დაგირავება

ა. დიახ

ბ. არა.

70. ვის აქვს იარაღით ვაჭრობის უფლება

ა. მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნით, სამეწარმეო საქმიანობისთვის შექმნილ პირებს კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო ნებართვის საფუძველზე

ბ. იარაღის მესაკუთრე ნებისმიერ ფიზიკურ პირს

გ. იარაღის მესაკუთრე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის განცხადებას წარადგენს სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოში.

71. როგორ უნდა მოიქცეს მემკვიდრე, თუკი იარაღის რეგისტრაციის დროს არსებობს გარემოება, რომელიც ზღუდავს მასზე ამ იარაღის რეგისტრაციას

ა. სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს თანხმობის გარეშე გაასხვისოს ეს იარაღი

ბ. სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს თანხმობის გარეშე ჩააბაროს იარაღი (საკომისიო წესით) იარაღით ვაჭრობის მქონე ლიცენზირებულ დაწესებულებას

გ. სსიპ – შსს მომსახურების სააგენტოს თანხმობით გადასცეს იარაღზე საკუთრების უფლება მესამე პირს, იარაღი ჩააბაროს (საკომისიო წესით) იარაღით ვაჭრობის მქონე ლიცენზირებულ დაწესებულებას ან ჩამოწეროს იარაღი.

72. დასაშვებია თუ არა თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან გაზის (აირის) იარაღის ლეგალიზაცია (აღურიცხავი იარაღის დარეგისტრირება)

ა. დასაშვებია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს იარაღის შეძენის ნებართვის მიღების შემაფერხებელი გარემოება

ბ. არ არის დასაშვები.

73. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ზოგადი მოთხოვნა ვრცელდება თუ არა სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანაზე

ა. დიახ

ბ. არა.

74. ვის შეიძლება ჰქონდეს თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება

ა. არავის

ბ. მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებს სამსახურებრივ-სამშტატო იარაღზე

გ. მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ პირებს, რომლებსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ შეუნარჩუნდათ იარაღის ტარების უფლება

დ. ამ ბილეთში აღნიშნულ ორივე პირთა კატეგორიას.

75. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი

ა. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მფლობელ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ვრცელდება იარაღის შენახვისა და გადატანის ერთი და იგივე წესები

ბ. იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მფლობელ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე არ ვრცელდება იარაღის შენახვისა და გადატანის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები

გ. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს რეგისტრირებული იარაღის გადატანისა და შენახვის განსხვავებული შეზღუდვები უწესდებათ.

76. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის მფლობელმა ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. გაუქმდება თუ არა აღნიშნული ლიცენზია

ა. აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების საფუძველს;

ბ. გაუქმდება ;

გ. გაუქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამართალდარღვევა ჩადენილია განმეორებით.

77. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა იწვევს თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

ა. დიახ

ბ. არა.

78. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა იწვევს თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

ა. დიახ

ბ. არა.

79. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება იწვევს თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

ა. დიახ

ბ. არა.

80. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დამზადება იწვევს თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

ა. დიახ

ბ. არა.

81. თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება იწვევს თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

ა. დიახ

ბ. არა

გ. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო გასაღება.

82. ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი

ა. იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას

ბ. არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

83. ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში აქვს იარაღის მესაკუთრეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

ა. საკუთარი ღირსების დაცვის მიზნით

ბ. ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად

გ. საკუთარი და სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და საკუთრების დასაცავად აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ან უკიდურესი აუცილებლობისას.

84. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად ჩაითვლება

ა. თუკი პირი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს სამართლიანობის აღდგენის განზრახვით

- ბ. თუკი პირი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმოწერას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად
- გ. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი პირი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმოწერას.

85. რომელი პასუხია სწორი

- ა. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას
- ბ. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს არ აქვს იმ შემთხვევაში, თუ შეუძლია თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

86. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად ჩაითვლება

- ა. თუკი პირი სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, იმისდა მიუხედავად, შეიძლებოდა თუ არა საფრთხის აცილება სხვა საშუალებით
- ბ. თუკი პირი სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე.

87. ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესის დარღვევა გამოიწვევს თუ არა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას

- ა. დიახ
- ბ. არა.

88. ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა გამოიწვევს თუ არა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას

- ა. დიახ
- ბ. არა.

89. ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის (ხელახალი რეგისტრაციის) ან შს ორგანოებში მისი აღრიცხვაზე აყვანის წესის დარღვევა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დროს გამოიწვევს თუ არა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას

- ა. დიახ
- ბ. არა.

90. ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებსა და საამისოდ გამოუყოფელ ადგილებში, აგრეთვე გამოყოფილ ადგილებში, მაგრამ დადგენილი წესის დარღვევით

- ა. გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას
- ბ. არ გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას

გ. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ დასახლებულ პუნტებში ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა.

91. ჩამოთვლილი ვერსიებიდან რომელი არის ნახევრადავტომატური იარაღი

- ა. რევოლვერი, რომელიც აღჭურვილია ერთჯერადად მტენი სისტემით
- ბ. თვითმტენი პისტოლეტი
- გ. სანადირო ორლულიანი თოფი.

92. როდის არის იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი, რათა მსროლელმა შეძლოს გასროლის წარმოება

- ა. მაშინ, როდესაც იარაღი განმუხტულია და აყვანილია მცველზე
- ბ. მაშინ, როდესაც ვაზნა მოთავსებულია ლულის სავაზნე არხში და იარაღი მოხსნილია მცველიდან.

93. დასაშვებია თუ არა იარაღის ადამიანზე მიმართვა

- ა. დაუშვებელია
- ბ. დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იარაღი დაუმუხტავია
- გ. დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითი სასხლეტს გარეთაა.

94. რა იგულისხმება სიტყვა „კალიბრში“

- ა. ლულის შიდა დიამეტრის ზომა
- ბ. ლულის მოცულობა
- გ. ლულის ნაჭდევების რაოდენობა.

95. რომელი ვაზნების გასროლაა დასაშვები თქვენ საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღიდან

- ა. ნებისმიერი ვაზნის, რაც ჩაეტევა მჭიდში ან ლულაში
- ბ. მხოლოდ შესაბამისი კალიბრის მქონე ვაზნის, რომლის მიხედვითაც აიგო იარაღი და რომელიც მითითებულია თავად იარაღზე
- გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

96. რომელი საბრძოლო მასალის შეძენის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, თუ მას გაფორმებული აქვს მხოლოდ 9x19 მმ - ის კალიბრის მქონე პისტოლეტი

- ა. მხოლოდ 9x19 მმ-ის ვაზნის
- ბ. 9x18 მმ მაკაროვის ვაზნების
- გ. ნებისმიერი ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნის.

97. რომელი ცეცხლსასროლი იარაღი მიეკუთვნება ხრახნილლულიანი იარაღის კატეგორიას

- ა. თოფი
- ბ. შაშხანა
- გ. პნევმატური პისტოლეტი.

98. რა განსხვავებაა პისტოლეტსა და რევოლვერს შორის

- ა. პისტოლეტს აქვს ცალკე მჭიდი და სავაზნე განთავსებულია ლულაში, რევოლვერს აქვს რამდენიმე სავაზნე, რომლებიც ლულისაგან გამოყოფილია დოლურაში და ამავდროულად სავაზნე დოლურა თავად წარმოადგენს მჭიდს
- ბ. რევოლვერს აქვს ჩახმახი, პისტოლეტს კი – არა
- გ. რევოლვერი უფრო მსუბუქია ვიდრე პისტოლეტი.

99. შეიძლება თუ არა, მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან – პისტოლეტიდან 5,6 მმ-იანი მცირეკალიბრიანი შაშხანის ვაზნების გასროლა, თუ პისტოლეტიც იგივე კალიბრის ვაზნებზეა აგებული – გათვალისწინებული

- ა. კი
- ბ. არა
- გ. მხოლოდ ნებართვის საფუძველზე.

100. თვითმტენი ცეცხლსასროლი პისტოლეტის შემთხვევაში მისი დამცველზე დაყენება არის თუ არა სრულად დაცვა და შესაძლებელია თუ არა იარაღის დაუდევრად მიმართვისას მოხდეს უცაბედი გასროლა

- ა. შესაძლებელია, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, მოხდეს გასროლა; შესაბამისად, დამატებითი დაცვა თავად მსროლელია ყოველთვის.
- ბ. არა, გამორიცხებულია მოხდეს გასროლა, ამ დროს შესაძლებელია ნებისმიერი მიმართულებით იარაღის მიმართვა
- გ. შესაძლებელია, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, მოხდეს გასროლა, შესაბამისად, დამატებითი დაცვა არ არსებობს.

101. რისთვისაა განკუთვნილი ცეცხლსასროლი პისტოლეტის მჭიდი

- ა. ვაზნების განსათავსებლად
- ბ. დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის დაცვაზე ასაყვანად
- გ. დამცველი ღილაკის ასაწევად.

102. რევოლვერის რომელი ნაწილი ბრუნავს ჩვეულებისამებრ საათის ისრის მიმართულებით ყოველი გასროლისას

- ა. დოლურა
- ბ. ლულა
- გ. ვაზნა.

103. რა ფუნქცია აქვს ცეცხლსასროლი პისტოლეტის ნემსას?

- ა. სასხლეტზე თითის დასხლეტისას ხდება მასრაზე მოთავსებულ ფისტონზე ნემსას დაცემა და შედეგად დენტის აალება
- ბ. ჩახმახის უსაფრთხო დაშვება
- გ. უკუცემის შემცირება.

104. ცეცხლსასროლი იარაღის გაწმენდის წინ უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია თუ არა ლულის სავაზნე არხის შემოწმება მასში ვაზნების არსებობაზე

- ა. აუცილებელია
- ბ. არ არის აუცილებელი
- გ. დამოკიდებულია ცეცხლსასროლი იარაღის ტიპზე.

105. მიზანშეწონილია თუ არა გაზის იარაღის გამოყენება შემხვედრი ქარისა და ჩაკეტილი სივრცის (ოთახი, ლიფტი და ა.შ.) შემთხვევაში

- ა. არ არის მიზანშეწონილი
- ბ. მიზანშეწონილია.

106. ნახევრადავტომატურია პისტოლეტი

- ა. რომელიც ყოველი გასროლის შემდეგ მსროლელის ჩარევის გარეშე თვითონ ათავსებს ვაზნას ლულის სავაზნეში და მზად არის შემდგომი გასროლისთვის
- ბ. რომელიც სასხლეტზე ერთი გამოკვრით აწარმოებს რამდენიმე გასროლას
- გ. რომელიც ყოველი გასროლის შემდეგ მოითხოვს თავიდან მექანიკურად დამუხტვას.

107. უსაფრთხოების მიზნით, როგორ უნდა მოიქცეთ გაზის (აირის) იარაღიდან გასროლის წარმოების შემდეგ

- ა. გასროლის შემდეგ გასროლის ადგილი უნდა დატოვოთ რამდენიმე მეტრის მანძილზე
- ბ. უნდა დარჩეთ გასროლის ადგილზე
- გ. განახორციელოთ ხელმეორედ გასროლა.

108. მიზანშეწონილია თუ არა იარაღის შენახვა ისეთ საცავში, სადაც საწვავი, ადვილადაალებადი და ქიმიური ნივთიერებები ინახება

- ა. მიზანშეწონილია
- ბ. არ არის მიზანშეწონილი
- გ. მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთ შენობაში, სადაც ქიმიური ნივთიერებები ინახება.

109. შეიძლება თუ არა დასაშვებ რაოდენობაზე მეტი ვაზნების ძალით ჩასმა სავაზნეში

- ა. შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში
- ბ. შეიძლება მჭიდის ზამბარის დამოკლების ხარჯზე
- გ. არ შეიძლება.

110. უსაფრთხოა თუ არა დაზიანებული ვაზნების გამოყენება

- ა. დიახ
- ბ. არა
- გ. უსაფრთხოა, თუ ვაზნის მასრა დამზადებულია მუყაოსაგან.

111. მიზანშეწონილია თუ არა მტყუნების კვალის მქონე ვაზნების მეორეჯერ გამოყენება

ა. დიახ

ბ. არა

გ. არ არის მიზანშეწონილი მხოლოდ რგოლური აალების ვაზნებისათვის.

112. რას ნიშნავს აღნიშვნა Magnum

ა. მწარმოებელი ფირმის დასახელებას

ბ. გარკვეული კალიბრის განსაკუთრებულად ძლიერი ვაზნის კლასს

გ. კალიბრს.

113. ტყვიაზე აღნიშნულია 9x18, რაც ნიშნავს რომ

ა. ტყვიის სიგრძე არის 9 მმ. ხოლო სიგანე 18 მმ.

ბ. ტყვიის მასრის სიგრძე არის 18 მმ. ხოლო ტყვიის გულის სიგანე 9მმ.

გ. ტყვიის სიგრძე არის 9 მმ, ხოლო წონა არის 18 გრამი.

114. იარაღის სასხლეტის გეომეტრიული ფორმიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია

ა. სასხლეტზე საჩვენებელი თითით დაწოლა

ბ. სასხლეტზე ცერა თითით დაწოლა

გ. სასხლეტზე ერთდროულად ორი თითით დაწოლა.

115. მჭიდის ამოსაღები ღილაკი

ა. ყველა იარაღზე მოთავსებულია სახელურის მარჯვენა მხარეს

ბ. მოთავსებულია თვითონ მჭიდზე

გ. სხვადასხვა სახეობის იარაღზე მოთავსებულია განსხვავებულ ადგილებში.

116. მცველი იცავს იარაღს

ა. დაზიანებისგან

ბ. უნებლიე გასროლისგან

გ. აკონტროლებს ვაზნების რაოდენობას მჭიდში.

117. ცეცხლსასროლი იარაღის შემოწმებისა და განმუხტვისას რა წესი უნდა დაიცვას მსროლელმა უპირველესად

ა. იარაღს ყოველთვის უნდა მოეპყროს როგორც დამუხტულს.

ბ. თუ იარაღში მჭიდი არ არის, უსაფრთხოების წესების დაცვა არ არის საჭირო

გ. იარაღს ყოველთვის უნდა მოეპყროს როგორც განმუხტულს.

118. სასხლეტზე თითის დადება მიზანშეწონილია

ა. ყოველთვის, როდესაც იარაღი ხელში გიჭირავთ

ბ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა სროლას გადაწყვეტთ.

119. არასრული დაშლის შემდეგ იარაღის აწყობა უნდა ვაწარმოოთ

ა. უკუთანმიმდევრობით

- ბ. ნებისმიერი თანმიმდევრობით
- გ. იგივე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც დავშალეთ.

120. შესაძლებელია თუ არა პისტოლეტს ჰქონდეს ავტომატური სროლის რეჟიმი

- ა. არ არის შესაძლებელი
- ბ. ყველა პისტოლეტს აქვს ავტომატური სროლის რეჟიმი
- გ. შესაძლებელია, გარკვეული სახის პისტოლეტებს ჰქონდეთ ავტომატური სროლის რეჟიმი.

121. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი

- ა. სასხლეტს თითი დაადეთ მაშინ, როდესაც აპირებთ გასროლას
- ბ. იარაღი ჩათვალეთ დამუხტულად, სანამ თვითონ არ შეამოწმებთ და განმუხტავთ მას
- გ. იარაღი მიმართული უნდა იყოს უსაფრთხო ადგილისაკენ
- დ. ამ ბილეთში აღნიშნული ყველა პასუხი სწორია.

122. რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს პისტოლეტის შემოწმება (განმუხტვა)

- ა. მოვხსნათ მჭიდი, გადავიყვანოთ საკეტი შემფერხებელზე და მოვახდინოთ სავაზნე არხის ვიზუალური დათვალიერება
- ბ. გადავიყვანოთ საკეტი შემფერხებელზე, მოვხსნათ მჭიდი, სავაზნე არხის ვიზუალური დათვალიერება არ არის საჭირო
- გ. გადავიყვანოთ საკეტი შემფერხებელზე, დავუშვათ შემფერხებლიდან, მოვხსნათ მჭიდი და გავაკეთოთ საკონტროლო დასხლეტა.

123. უსაფრთხოა თუ არა დამუხტული ჩახმახიანი პისტოლეტის ჩახმახის მექანიკურად (ხელის დახმარებით) დაშვება

- ა. არა
- ბ. დიახ
- გ. დიახ, თუ ლულა მიმართულია უსაფრთხო მიმართულებით.

124. უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებული ტრანსპორტირებული უნდა იქნეს

- ა. მუცელზე მწოლიარე მდგომარეობაში
- ბ. ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში ზემოთ აწეული ქვემო კიდურებით
- გ. გვერდზე მწოლიარე მდგომარეობაში (გვერდულად).

125. სისხლდენის შეჩერების მიზნით, კიდურებზე ლახტი უნდა დაიდოს

- ა. სისხლდენი ადგილიდან ქვემოთ, ზედ ტანსაცმელზე, ლახტის დადების დროის ჩანიშვნით
- ბ. სისხლდენი ადგილიდან ზემოთ, ზედ ტანსაცმელზე, ლახტის დადების დროის ჩანიშვნით

გ. სისხლმდენი ადგილიდან ზემოთ, ტანსაცმლიდან განთავისუფლებულ უბანზე, ლახტის დადების დროის ჩანიშვნით.

126. სისხლდენის შესაჩერებლად ლახტი კიდურზე უნდა დაიდოს

ა. ჭრილობიდან 4-6 სმ-ით ქვემოთ

ბ. ჭრილობიდან 4-6 სმ-ით ზემოთ

გ. უშუალოდ ჭრილობაზე.

127. სისხლდენის შემაჩერებელი ლახტის დადების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს

ა. ზამთრის პირობებში – არაუმეტეს 1 საათისა, ზაფხულის პირობებში – არაუმეტეს 2 საათისა

ბ. ზამთრის პირობებში – არაუმეტეს 2 საათისა, ზაფხულის პირობებში – არაუმეტეს 1 საათისა

გ. არაუმეტეს 1 საათისა გარემოს ტემპერატურის მიუხედავად.

128. უშუალოდ ჭრილობა შეიძლება დამუშავდეს

ა. კალიუმის პერმანგანატის ხსნარით

ბ. იოდის ხსნარით

გ. წყალბადის ზეჟანგით

დ. სუფთა წყლით.

129. რა დახმარება უნდა აღმოვეჩინოთ დაზარალებულს გულისა და სუნთქვის გაჩერების შემთხვევაში

ა. ვაწარმოთ მხოლოდ გულის არაპირდაპირი მასაჟი

ბ. გავათავისუფლოთ სასუნთქი გზები, ჩავატაროთ ხელოვნური სუნთქვა და გულის არაპირდაპირი მასაჟი.

გ. მხოლოდ გავათავისუფლოთ სასუნთქი გზები და ჩავატაროთ ხელოვნური სუნთქვა.

დ. ჩავატაროთ მხოლოდ ხელოვნური სუნთქვა.

130. დაზარალებულის შემთხვევაში, რომელსაც არ აღენიშნება სუნთქვა და გულისცემა, სინათლეზე თვალის გუგების რეაქციის არსებობა მეტყველებს

ა. სიცოცხლის ნიშნების არსებობაზე

ბ. ცნობიერების დაკარგვაზე

გ. ბიოლოგიური სიკვდილის დადგომაზე.

131. დაზარალებული გულ-მკერდის ტრავმით ტრანსპორტირებული უნდა იქნეს

ა. ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში

ბ. მუცელზე მწოლიარე მდგომარეობაში

გ. ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში.

132. როგორია ტანსაცმლის (პერანგის) მოშორების თავისებურება ზედა კიდურის ცეცხლნასროლი დაზიანების შემთხვევაში

- ა. პერანგის გახდა უნდა დავიწყოთ დაზიანებული კიდურიდან
- ბ. პერანგი უნდა მოვაშოროთ ორივე კიდურიდან ერთდროულად
- გ. ჯერ უნდა გავათავისუფლოთ ჯანმრთელი კიდური, ხოლო შემდეგ – დაზიანებული.

133. რა სახის პირველადი დახმარება უნდა გავუწიოთ დაშავებულს თვალში ცრემლსადენი ან სხვა გამაღიზიანებელი ნივთიერების მოხვედრისას

- ა. ამოვუწმინდოთ თვალი ზეთიანი ტამპონით
- ბ. ამოვუწმინდოთ თვალი მშრალი ტამპონით
- გ. გამოვურეცხოთ თვალი წყლის ჭარბი ნაკადით.

134. რომელი ქმედებაა უფრო მისაღები უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებულის გონზე მოსაყვანად

- ა. ავუწიოთ დაშავებულს ფეხები სხეულის დონეზე მაღლა
- ბ. ნიშადურის სპირტის ცხვითან მიტანა
- გ. დაშავებულის გათბობა.

135. ხელოვნური სუნთქვისა და გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარებისას აუცილებელია, რომ დაშავებული

- ა. მოთავსებული იყოს ზურგზე, რბილ საწოლზე
- ბ. მოთავსებული იყოს ზურგზე, სწორ და მყარ ზედაპირზე
- გ. დავტოვოთ საწყის, ანუ იმავე მდგომარეობაში, რომელშიც აღმოვაჩინეთ.

136. ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისას მეთოდით „პირით პირში“ აუცილებელია

- ა. დავაწვინოთ დაშავებული გვერდზე
- ბ. დაშავებულს გადავაწვინოთ თავი უკან და წამოვუწიოთ ნიკაპი წინ
- გ. დაშავებულს თავი დავახრევინოთ წინ.

137. როგორია პირველადი დახმარების აღმოჩენის თანმიმდევრობა ცეცხლნასროლი ჭრილობის დროს

- ა. ჭრილობის დამუშავება, ნახვევის დადება, სისხლდენის შეჩერება
- ბ. სისხლდენის შეჩერება, ჭრილობის დამუშავება, ნახვევის დადება
- გ. სისხლდენის შეჩერება, ნახვევის დადება.

138. მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობის დროს პირველადი დახმარების რა წესები უნდა იქნეს დაცული

- ა. დაშავებულს არ მივცეთ სითხე, ჭრილობიდან ამოვიღოთ უცხო სხეული, დავაფინოთ ჭრილობაზე სტერილური საფენი
- ბ. დაშავებულს ავუწიოთ თავი, დავალევინოთ თბილი სითხე, დავაფინოთ ჭრილობაზე სტერილური საფენი
- გ. დაშავებულს არ მივცეთ სითხე, არ ამოვიღოთ ჭრილობიდან უცხო სხეული, დავაფინოთ ჭრილობაზე სტერილური საფენი.

139. როგორია ხელოვნური სუნთქვისა და გულის არაპირდაპირი მასაჟის რიტმი, რომელსაც ატარებს ერთი ადამიანი

- ა. ჰაერის 1 ჩაბერვა – 5 ზეწოლა გულ-მკერდზე
- ბ. ჰაერის 2 ჩაბერვა – 15 ზეწოლა გულ-მკერდზე
- გ. ჰაერის 3 ჩაბერვა – 30 ზეწოლა გულ-მკერდზე.

140. არტერიული სისხლდენის ნიშნებია

- ა. ჭრილობიდან მდორედ გადმოედინება ალისფერი სისხლი
- ბ. ჭრილობიდან შადრევანივით გადმოედინება ალისფერი სისხლი
- გ. ჭრილობიდან მდორედ იღვენთება მუქი წითელი სისხლი.

141. თვალის მიდამოში ცეცხლნასროლი ჭრილობის შემთხვევაში

- ა. დაშავებულს უნდა გავუწმინდოთ დაზიანებული თვალი
- ბ. დაშავებულის თვალზე უნდა დავამაგროთ ამობურცული საგანი და დავაფიქსიროთ ის კანზე თვალის ირგვლივ
- გ. დაშავებულს თვალზე უნდა დავადოთ სუფთა (სტერილური) საფენი და გავუკეთოთ ნახვევი ორივე თვალზე.

142. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების დროს ჰაერის ჩაბერვისას

- ა. გულ-მკერდი გაფართოვდება და აიწევს ზემოთ
- ბ. გულ-მკერდი არ რეაგირებს ჩაბერვაზე
- გ. გულ-მკერდი იწევა ზემოთ მუცლის მიდამოს შებერვის პარალელურად.

143. კისრის მალეების დაზიანებისას ან მასზე ეჭვის მიტანისას

- ა. დაშავებულს უნდა დავუფიქსიროთ თავი, კისერზე დავადოთ სპეციალური საყელო (ან რაიმე ხელმისაწვდომი საშუალება)
- ბ. დაშავებული უნდა დავაწვინოთ გვერდულად
- გ. დაშავებულს თავი უნდა მოვუთავსოთ რბილ საგანზე, მაგალითად, ბალიშზე.

144. თუ დაშავებულს აღენიშნება მხოლოდ პულსაცია საძილე არტერიაზე და არ აღენიშნება სუნთქვა

- ა. უნდა ჩაუტარდეს მხოლოდ ხელოვნური სუნთქვა
- ბ. უნდა ჩაუტარდეს ხელოვნური სუნთქვა და გულის არაპირდაპირი მასაჟი
- გ. უნდა ჩაუტარდეს გულის არაპირდაპირი მასაჟი.

145. რომელი სისხლდენის დროს შეიძლება დაიდოს ლახტი

- ა. ვენური
- ბ. არტერიული
- გ. კაპილარული.

თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდის საგამოცდო ბილეთები და სწორი პასუხების ცხრილი

ბილეთი N	სწორი პასუხი	ბილეთი N	სწორი პასუხი
1	დ	71	ბ
2	გ	72	ა
3	ბ	73	ა
4	გ	74	დ
5	დ	75	ა
6	ბ	76	ბ
7	ბ	77	ა
8	ბ	78	ა
9	ა	79	ა
10	ბ	80	ა
11	ბ	81	ა
12	ა	82	ა
13	დ	83	ბ
14	დ	84	ბ
15	ბ	85	ა
16	დ	86	ბ
17	ბ	87	ა
18	ბ	88	ა
19	ა	89	ა
20	გ	90	ა
21	ბ	91	ბ
22	ა	92	ბ
23	ა	93	ა
24	გ	94	ა
25	ა	95	ბ
26	ა	96	ა

27	ð	97	ð
28	ː	98	ː
29	ː	99	ː
30	ð	100	ː
31	ː	101	ː
32	ð	102	ː
33	œ	103	ː
34	ː	104	ː
35	ð	105	ː
36	ð	106	ː
37	œ	107	ː
38	ð	108	ð
39	ː	109	ð
40	ð	110	ð
41	ː	111	ð
42	ː	112	ð
43	ð	113	ð
44	ð	114	ː
45	ð	115	ð
46	ː	116	ð
47	ː	117	ː
48	ð	118	ð
49	ː	119	ː
50	œ	120	ð
51	ː	121	œ
52	ð	122	ː
53	ː	123	ː
54	ː	124	ð
55	ː	125	ð
56	ð	126	ð
57	ː	127	ː
58	ː	128	ð
59	ð	129	ð
60	ð	130	ː
61	ð	131	ð
62	œ	132	ð
63	ː	133	ð
64	œ	134	ð
65	ð	135	ð
66	ː	136	ð
67	ː	137	ð
68	ː	138	ð
69	ð	139	ð

70	ς	140	δ
		141	δ
		142	ς
		143	ς
		144	ς
		145	δ